დიდი ანგარიშით

ალმა-ათა. ცენტრალური სტადიონი. 28 ივნისი.

“კაირატი” (ალმა-ათა) _ “დინამო” (თბილისი) 0:3 (0:0).

“კაირატი”: ბუბენეცი, დიშლენკო, სტეპანოვი, ფედოტოვი, კამინსკი, მუსინი, ოსტროუშკო (ვორონჩიხინი), ეგოროვი, სეგიზბაევი, კვოჩკინი, სავჩენკო.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ჭელიძე, დათუნაშვილი (იამანიძე), გ. სიჭინავა, ასათიანი, ნოდია, მესხი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 2:2.

თითქმის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში თამაში შუა მინდორში მიმდინარეობდა. ორივე გუნდი გაურბოდა გამწვავებას და დუნედ მოქმედებდა, მაგრამ ტაიმის დასასრულს თბილისელებმა გააძლიერეს იერიშები, მესხმა თავის ფლანგზე ზედიზედ განახორციელა სახიფათო გარღვევები და მასპინძლებს სასწრაფოდ დაჭირდათ დაცვის რიგების გაძლიერება. ხელსაყრელ პოზიციაში გავიდა ნოდია, რომლის მიერ ძალზე ძლიერად დარტყმული ბურთი ნახტომში მოიგერია ბუბენეცმა.

სრული ძალით, ტემპში ათამაშდნენ დინამოელები შესვენების შემდეგ. გ. სიჭინავა და იამანიძე აქტიურად გადიოდნენ საჯარიმო მოედნის სიახლოვეს და მხარს უჭერდნენ თავდამსხმელებს.

გოლი გატანილ იქნა 69-ე წუთზე. “კაირატი” დაჯარიმდა და ცხოვრებოვმა მოულოდნელად, ძალიან ძლიერად და ზუსტად დაარტყა მეტოქის კარში. ბუბენეცი უძლური იყო ეხსნა თავისი გუნდი და გაუშვა ბურთი.

რამდენიმე წუთის შემდეგ მესხი დრიბლინგით გავიდა მცველთა შუა, სწრაფად შეიჭრა საჯარიმო მოედანში და ლამაზი გოლი გაიტანა.

“კაირატს” დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და მანაც მთელი ძალები შეტევაში გადაისროლა. სახიფათო მომენტები შექმნეს კამინსკიმ, კვოჩკინმა სეგიბაევმა, მერე კი სტეპანოვის მიერ დარტყმული ძნელი ბურთი აიღო ურუშაძემ. მაგრამ მასპინძლებს ეს შტურმი მესამე გოლად დაუჯდათ საკუთარ კარში. 83-ე წუთზე მესხმა და ნოდიამ სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, რაც ამ უკანასკნელმა ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 29 ივნისი, 1967 წ.